



ელექტროენერჯის ბაზრის მიმოხილვა

2023 წლის შეჯამება

ენერჯეტიკა
2023 წლის შეჯამება
2 თებერვალი 2024

2023 წლის ძირითადი სიახლეები

2023 წელს რეკორდულად მაღალი ელექტროენერჯის ექსპორტი განხორციელდა. საქართველომ 103.3 მლნ აშშ დოლარის (+22.5% წ/წ) ოდენობის 1.5 ტვტ/სთ-ს (+51.2% წ/წ) ელექტროენერჯის ექსპორტი განახორციელა. ამავდროულად, იმპორტის მოცულობა საგრძნობლად შემცირდა (-48.5% წ/წ) და შემოიფარგლა მხოლოდ აფხაზეთის რეგიონის საჭიროებებით (რომელიც ელექტროენერჯიას რუსეთიდან იღებს სიმბოლურ ფასად, კვტ.სთ-ზე 0.1 აშშ დოლარად). შედეგად, 2023 წელი დასრულდა რეკორდულად მაღალი 102.3 მლნ აშშ დოლარის ოდენობის დადებითი სავაჭრო ბალანსით (+136.8% წ/წ) და წმინდა ექსპორტით (0.7ტვტ.სთ). (დეტალები გვ. 9-11)

ელექტროენერჯის მოხმარება წლიურად 7.9%-ით შემცირდა 2023 წელს, რაც განსხვავდება ბოლო 10 წლის ტენდენციისგან (პანდემიური წლის გამოკლებით). კლება, უპირველეს ყოვლისა, განპირობებული იყო აფხაზეთის რეგიონის და პირდაპირი მოხმარებლების, კერძოდ, მეტალურგიული და დატა მაინინგ კომპანიების მოხმარების შემცირებით. შემცირებულმა მოხმარებამ გამოიწვია ელექტროენერჯის იმპორტის შემცირება და თბოსადგურების გამომუშავების ზრდასთან ერთად ხელი შეუწყო ექსპორტის ზრდას (გვერდი 7-8)

სხვა სიახლეები:

- ქვეყნის დადგმული სიმძლავრე 2023 წელს 28.7მგვტ-ით გაიზარდა და 4.6გვტ-ს მიაღწია (გვერდი 2)
- გამოცხადდა განახლებადი სიმძლავრის მეორე აუქციონი 800 მგვტ სიმძლავრისთვის (გვერდი 3)
- სემეკმა შეამცირა ტარიფები საცალო მოხმარებლებისთვის (გვერდი 4) და შეცვალა რეგულირებადი ჰესებისთვის დაწესებული ტარიფები (გვერდი 6)

ევა ბოჭორიშვილი

კვლევების დეპარტამენტის
ხელმძღვანელი
evabochoreshvili@gt.ge
+995 322 401 111 ext.8036

მარიამ ჩახვაშვილი

სექტორის უფროსი
mchakhvashvili@gt.ge
+995 322 401 111 ext.7897




2023 წელს ექსპლუატაციაში შესული სადგურები და ქვეყნის დადგმული სიმძლავრე

2023 წელს ექსპლუატაციაში შევიდა 7 ჰიდროელექტროსადგური, ჯამური დადგმული სიმძლავრით 28.7 მეგავატი. ყველაზე დიდი იყო 20.0 მგვტ სიმძლავრის მესტიაჭალა-1 ჰესი, რომელიც ხელმეორედ ამოქმედდა 2023 წლის დეკემბერში (პირველად ექსპლუატაციაში შევიდა 2019 წელს, მაგრამ ჰესმა მუშაობა შეწყვიტა წყალდიდობით გამოწვეული ინციდენტის გამო). დანარჩენ 6 ჰესს მიეკუთვნება: დმანისის ჰესი (2.0 მგვტ), ტოლოში ჰესი (1.7 მეგავატი), როშკა და როშკა-1 ჰესი (2.5 მეგავატი), კორშა და კორშა-1 ჰესი (2.5 მეგავატი).


აღსანიშნავია, რომ მიკრო სიმძლავრის ელექტროსადგურებს შთამბეჭდავი 27.6 მგვტ-იანი ზრდა ჰქონდათ 2023 წელს. ამ წელს სადისტრიბუციო ქსელს დაემატა 316 მიკრო სიმძლავრის ელექტროსადგური. ეს არის 0.5 მგვტ-ზე ნაკლები დადგმული სიმძლავრის მქონე ელექტროსადგურები, რომლებიც ხვდება „ნეტო აღრიცხვის“ რეგულაციაში (სპეციალური მხარდაჭერის სქემა, რომელიც გულისხმობს სადგურსა და მომხმარებელს შორის პირდაპირ კავშირს და რეგულაციურ შეღავათებს). ამ ელექტროსადგურებს ასევე აქვთ დამატებითი მხარდაჭერა პროგრამიდან „აწარმოე საქართველოში“ და დონორი ორგანიზაციებისგან. 2023 წლის ბოლოსთვის, ნეტო აღრიცხვის რეგულირებით მოსარგებლე ელექტროსადგურების მთლიანმა სიმძლავრემ 64 მეგავატს მიაღწია (1,000-ზე მეტი სადგური). მაღალი ინტერესიდან გამომდინარე, სემეკმა გაზარდა ასეთი სადგურების ჯამურად დასაშვები სიმძლავრე პიკური დატვირთვის 4%-დან 8%-მდე, რაც შეადგენს დაახლოებით 100-110 მეგავატს. ამ სადგურების გენერაცია ამ ეტაპზე არ აღირიცხება, მათი გამომუშავების ნაწილი აკლდება საცალო მოხმარების სტატისტიკას.

გრაფიკი 1: დადგმული სიმძლავრის დამატება, მგვტ.



წყარო: ესკო, სსე, გალტ & თაგარტი
* მიკრო სიმძლავრის ელექტროსადგურები არის 0.5 მგვტ-მდე სიმძლავრის ნეტო აღრიცხვის რეგულაციაში ჩართული სადგურები

გრაფიკი 2: დადგმული სიმძლავრე, გვტ. (დეკ-23)



წყარო: ესკო, სსე, გალტ & თაგარტი

საქართველოს დადგმულმა სიმძლავრემ 2023 წლის ბოლოსთვის 4.6 გვტ-ს შეადგინა. აქედან 3.4 გვტ იყო ჰიდროელექტროსადგურები (115 სადგური), 1.2 გვტ თბოელექტროსადგურები (6 სადგური), 20.6



მგვტ - ქარის ელექტროსადგური და 64 მგვტ მიკრო სიმძლავრის ელექტროსადგური. CFD მექანიზმის და სიმძლავრის აუქციონის შემოღების შედეგად, მოსალოდნელია ელექტროსადგურების მშენებლობის გააქტიურება.

სიმძლავრის აუქციონი

გამოცხადდა განახლებადი ენერჯის მეორე სიმძლავრის აუქციონი 800მგვტ სიმძლავრისთვის. აუქციონში განაცხადების მიღებას ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო დაიწყო 2024 წლის 8 თებერვალს და გაგრძელდება 12 თებერვლის 18:00 საათამდე. აუქციონის გამარჯვებულები გამოვლინდებიან მარტის ბოლოსთვის. წინა აუქციონისგან განსხვავებით, ამჯერად აუქციონი ასევე მოიცავს სადგურებს, რომლებსაც აქვთ რეგულირების საშუალება. სიმძლავრის ლიმიტები სადგურის ტიპის მიხედვით შეგიძლიათ იხილოთ სამინისტროს [ვებ-გვერდზე აქ](#) ან ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

ცხრილი 1: მეორე სიმძლავრის აუქციონზე გამოცხადებული სიმძლავრის ზედა ლიმიტები, მგვტ

პროექტის ტიპი	ჯამური სიმძლავრე	აქედან რეგულირების გარეშე	აქედან რეგულირებით (რეზერვუარით ან შემნახველი მოწყობილობით)
ჰიდრო	400	100	300*
ქარი	195	125	70
მზე	195	125	70
სხვა	10	10	
ჯამი	800	360	440

წყარო: ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, გალტ & თაგარტი

* დამატებითი ქვე-ლიმიტებია რეზერვუარის მოცულობის (საათების) მიხედვით

CFD პრინციპის მიხედვით, გამარჯვებული კომპანიები ესკოსგან მიიღებენ დღით-ადრე ბაზარზე დაფიქსირებულ ფასსა და კონტრაქტით განსაზღვრულ ფასს შორის სხვაობას. წინა აუქციონის შედეგებიდან გამომდინარე, კანონმდებლობაში შევიდა ცვლილება და დაკონკრეტდა, რომ თუ დღით-ადრე ბაზარი არ გაეშვა სადგურის ექსპლუატაციაში შესვლამდე, ESCO სრულად აანაზღაურებს CFD-ს მოცულობას. **ფაქტობრივად, ბაზრის ამოქმედებამდე PPA-ს პრინციპი იქნება გამოყენებული.**

კანონმდებლობაში შესული ცვლილებებით ასევე განისაზღვრა, აუქციონის მიზნებისთვის რა ითვლება რეგულირების მექანიზმად და რეგულირების პირობის დარღვევა როგორ აისახება საბოლოო ტარიფზე. რეგულირების მოთხოვნები ითვალისწინებს ქვეყნის ენერგეტიკული სისტემის საჭიროებებს და დეველოპერებისთვის გასათვალისწინებელ ტექნიკურ საკითხებს. მნიშვნელოვანია, რომ შემნახველი მოწყობილობების კლასიფიცირება რეგულირების საშუალებად პირველად მოხდა საქართველოში, რაც თანხვედრაშია თანამედროვე საერთაშორისო



ტექნოლოგიურ მიღწევებთან და ზრდის ქარისა და მზის ათვისების პოტენციალს.

აუქციონის სხვა პრინციპები და CFD კონტრაქტის ძირითადი პირობები შეჯამებულია ჩვენს ერთ-ერთ წინა ანგარიშში [აქ](#).

ელექტროენერჯის საცალო ტარიფი და მისი კომპონენტები

2023 წლის დეკემბრის ბოლოს შემეკმა ელექტროენერჯის საცალო ტარიფი შეამცირა 3 თეთრით, როგორც მოსახლეობისთვის, ისე ბიზნესისთვის. აღნიშნულის შედეგად, მოსახლეობას ტარიფი საშუალოდ 14.0%-ით, ხოლო ბიზნესს 10.0%-ით შეუმცირდა. საქართველოში ტარიფი დიფერენცირებულია მოხმარების რაოდენობის, დაბვის და მომსახურე კომპანიის მიხედვით. ქვემოთ ცხრილში მოცემულია საცალო მომხმარებლის ყველა კატეგორიის მიმდინარე ტარიფები და წინა პერიოდთან შედარებით პროცენტული ცვლილება.

ცხრილი 2: ელექტროენერჯის საცალო ტარიფები 2024-25 წლებში, თეთრი/კვტ.სთ-ზე

მომხმარებლის კატეგორია	თვიური მოხმარება/დაბვა	თელმიკო		ეპ ჯორჯია მიწოდება	
		ტარიფი	ცვლილება, %	ტარიფი	ცვლილება, %
მოსახლეობა	<100 კვტ.სთ	15.0	-16.6%	14.7	-16.9%
	101-300 კვტ.სთ	19.1	-13.6%	18.7	-13.8%
	>300კვტ.სთ	23.5	-11.3%	23.2	-11.4%
ბიზნესი	220 ვ	29.9	-9.1%	29.0	-9.4%
	6-10 კვ	26.6	-10.1%	27.9	-9.7%
	35-110 კვ	24.4	-11.0%	25.3	-10.6%

წყარო: შემეკი, მაცნე, გალტ & თავარტი

შენიშვნა 1: ფასები მოცემულია დღგ-ს ჩათვლით

შენიშვნა 2: მოიცავს როგორც უნივერსალური მომსახურების მიწოდების (მოსახლეობა და მცირე ბიზნესი), ასევე საჯარო მომსახურების სახით ელექტროენერჯის მიწოდების ტარიფს (თელმიკოს და ეპ ჯორჯიას სხვა მომხმარებლები)

აღსანიშნავია, რომ ეს ტარიფი ვრცელდება ელექტროენერჯის მთლიანი მოხმარების დაახლოებით 80%-ზე (მოსახლეობაზე სრულად და ბიზნესების ნაწილზე), ხოლო დანარჩენი მომხმარებლები (ძირითადად მსხვილი ბიზნესი) ელექტროენერჯიას საბითუმო ბაზარზე ყიდულობენ, რომლის ტარიფიც არ არის რეგულირებული შემეკის მიერ. საბითუმო ფასების დინამიკა შეგიძლიათ იხილოთ მე-11 გვერდზე.

ელექტროენერჯის საცალო ტარიფის კალკულაცია ეფუძნება 4 ძირითად კომპონენტს:

1. ელექტროენერჯის შესყიდვის ღირებულება: საყოფაცხოვრებო მომხმარებლისთვის ეს კომპონენტი საშუალოდ კვტ.სთ-ზე 4.4 თეთრია, ხოლო ბიზნესისთვის - 15.0 თეთრი. მოსახლეობისთვის ასეთი დაბალი ფასი იმიტომ, რომ მათთვის გამოყოფილია ენგურის იაფიანი ელექტროენერჯია, ეს ერთგვარი სუბსიდირების მეთოდია სახელმწიფოს მხრიდან. ამ კომპონენტში შედის ასევე სხვადასხვა მოსაკრებლები, მაგალითად ესკოსთვის გადახდილი




მომსახურების საფასური და გარანტირებული სიმძლავრის საფასური.

2. განაწილების, იგივე დისტრიბუციის ტარიფი: ეს კომპონენტი ითვალისწინებს ელექტროენერჯის გამანაწილებელი ქსელის რეაბილიტაციის/გაფართოების ხარჯებს, განხორციელებულ და დაგეგმილ ინვესტიციებს და ამ ინვესტიციებზე გონივრულ უკუგებას. გატარების ტარიფის დადგენისას დიდი გავლენა აქვს აგრეთვე წინა სატარიფო პერიოდში დაგეგმილ და რეალურად განხორციელებულ ხარჯებსა და შემოსავლებს შორის სხვაობას, რომელიც დროში ფულის ღირებულებით აისახება შემდგომ სატარიფო პერიოდში. თელმიკოს ელექტროენერჯის განაწილებას ახორციელებს თელასი და მისი ტარიფი საშუალოდ კვტ.სთ-ზე 7.9 თეთრია 2024-25 წლებისთვის. ეპ ჯორჯიას გამანაწილებელი კომპანიაა ენერგო-პრო ჯორჯია, საშუალოდ კვტ.სთ-ზე 10.1 თეთრიანი ტარიფით.

3. ელექტროსისტემის მოსაკრებელი გატარებისთვის, რაც 2024-25 წლებისთვის განსაზღვრულია კვტ.სთ-ზე 2.813 თეთრის ოდენობით (5.6%-იანი ზრდა 2020-23 წლებთან შედარებით). ტარიფის ამ კომპონენტის ზრდა უკავშირდება საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის დაგეგმილ და სემეკთან შეთანხმებულ ინვესტიციებს მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემ ქსელში.

4. სახელმწიფო გადასახადები: დამატებული ღირებულების გადასახადი, რომელიც ტარიფის 18%-ს შეადგენს.

გრაფიკი 3: ელექტროენერჯის საცალო ტარიფი კომპონენტების მიხედვით 2024-25, თეთრი/კვტ.სთ-ზე



წყარო: სემეკი, მაცნე, გალტ & თავართი



ჰიდროელექტროსადგურების ტარიფები

სემეკმა დაამტკიცა რეგულირებული სადგურებისთვის ახალი ტარიფები სადგურების საინვესტიციო გეგმებიდან და დაგეგმილი გამომუშავებიდან გამომდინარე. ტარიფი გაიზარდა ენგური (29.9%), ვარდნილი (+19.6%), ჟინვალი (+33.2%) და გუმათისთვის (3.3-ჯერ) და შემცირდა ძევრულა (-70.5%) და ლაჯანურ (-22.9%) ჰესებისთვის. ცნობისთვის, სემეკი აწესებს გასაყიდი ფასის ზედა ზღვარს 2008 წლამდე აშენებული 65მგვტ-ზე მეტი სიმძლავრის მქონე ჰიდროელექტროსადგურებისთვის. 2023 წელს ამ ჰესებზე მოდიოდა ჰიდრო გენერაციის 66.4%, ხოლო ჯამურად ქსელში მიწოდების 47.5%.

ცხრილი 3: რეგულირებული ელექტროსადგურების ზღვრული ტარიფები, თეთრი/კვტ.სთ-ზე

სადგურის დასახელება	ძველი ტარიფი	ახალი ტარიფი	%-ული ცვლილება	2023 წლის გენერაცია, გვტ.სთ	წილი ჯამურ მიწოდებაში, %
ენგური	1.857	2.412	29.9%	3,556	23.4%
ვარციხე	1.250	1.250		911	6.0%
ვარდნილი	2.565	3.067	19.6%	677	4.5%
ლაჯანური	2.768	2.133	-22.9%	400	2.6%
ჟინვალი	2.721	3.625	33.2%	378	2.5%
გუმათი	2.494	8.296	232.6%	334	2.2%
ხრამი-2	4.149	4.149		324	2.1%
ხრამი-1	2.300	2.300		206	1.4%
ძევრულა	4.653	1.374	-70.5%	148	1.0%

წყარო: სემეკი, მაცნე, გალტ & თავარტი

შენიშვნა: სემეკი ფიქსირებულ ტარიფს აწესებს მხოლოდ ენგურის და ვარდნილისთვის, დანარჩენი სადგურების ტარიფი არის ზედა დასაშვები ზღვარი



ელექტროენერჯის მოთხოვნა, მიწოდება და ფასები


მიწოდება: 2023 წელს ქსელში მიწოდებული ელექტროენერჯის საერთო მოცულობამ 15.2 ტვტ.სთ შეადგინა. აქედან 10.9 ტვტ.სთ (ჯამურის 71.5%) ჰესების გამომუშავება იყო, 3.4 ტვტ.სთ (ჯამურის 22.7%) თბოსადგურების, 0.09 ტვტ.სთ (ჯამურის 0.6%) ქარის სადგურის, ხოლო 0.8 ტვტ.სთ (ჯამურის 5.2%) იყო ელექტროენერჯის იმპორტი.

მოთხოვნა: ქსელში მიწოდებული 15.2 ტვტ.სთ-დან, ადგილობრივმა მოხმარებამ საბითუმო დონეზე 13.1 ტვტ.სთ (ჯამურის 86.0%) შეადგინა, 1.5ტვტ.სთ (ჯამურის 9.7%) გავიდა ექსპორტზე, ხოლო 0.7 ტვტ.სთ (4.4%) დაიკარგა ქსელში ტრანსპორტირებისას.

ელექტროენერჯის მოხმარება

2023 წლის პირველ ნახევარში ელექტროენერჯის ადგილობრივი მოხმარება წლიურად 7.9%-ით შემცირდა. ეს კლება განპირობებული იყო აფხაზეთის რეგიონის (-10.8% წ/წ) და პირდაპირი მომხმარებლების (-25.4% წ/წ) მოხმარების მნიშვნელოვანი ვარდნით. პირდაპირ მომხმარებლებში მოხმარების კლება უკავშირდება ჯორჯიან მანგანუმის, მეტალურგიული და მაინინგ კომპანიების წარმოების კლებას, რაც, თავის მხრივ, დაკავშირებული იყო მათ საბოლოო პროდუქტებზე მოთხოვნისა და ფასების ვარდნასთან. მათი მოხმარების კლება დაიწყო 2022 წლის მეორე ნახევარში და სავარაუდოდ 2024 წლის პირველ ნახევარშიც გაგრძელდება.

გრაფიკი 4: ელექტროენერჯის მოხმარება საბითუმო მომხმარებლების მიხედვით, ტვტ.სთ.



წყარო: სემეკი, გალტ & თავართი

შენიშვნა*: საცალო მოხმარებაში შედის თელასის, ენერგო-პრო ჯორჯიას, თელმიკოს და ეპ ჯორჯია მიწოდების ელექტროენერჯის ჯამური მოხმარება.

შენიშვნა**: ეპ ჯორჯია და თელმიკო დაფუძნდნენ 2021 წლის ივნისში და ემსახურებიან შესაბამისად ენერგო-პრო ჯორჯიას და თელასის ყოფილ აბონენტებს. ცვლილება გამოწვეული იყო საკანონმდებლო მოთხოვნებით. პირდაპირ მომხმარებელად სავალდებულოდ რეგისტრაციის კრიტერიუმია 0.4გვტ.სთ საშუალო-თვიური მოხმარება

ცხრილი 4: ელექტროენერჯის მოხმარების დინამიკა, 2023

მომხმარებელი	წლიური ზრდა	წილი ჯამურ მოხმარებაში
შიდა მოხმარება	-7.9%	100.0%
აფხაზეთის რეგიონი	-10.8%	20.7%
პირდაპირი მომხმარებლები	-25.4%	21.3%
საცალო მომხმარებელი*	+2.2%	58.0%
ეპ ჯორჯია მიწოდება**	+1.4%	34.3%
თელმიკო**	+3.2%	23.7%




ელექტროენერჯის გენერაცია

ელექტროენერჯის ადგილობრივი მოხმარების შემცირებამ გამოიწვია იმპორტის შემცირება. 2023 წელს ჯამური მოთხოვნის 71.5% ჰიდროგენერაციით დაკმაყოფილდა, რომელიც წლიურად 0.9%-ით გაიზარდა. ქარის ელექტროსადგურის გამომუშავებამ ჯამური მიწოდების მხოლოდ 0.6% შეადგინდა. მოთხოვნის დანარჩენი 27.9% დაკმაყოფილდა **თბოსადგურების** გენერაციით (22.7%) და **იმპორტით** (5.2%). თბოგენერაცია წლიურად 1.7%-ით გაიზარდა (წინა წლის მალალი ბაზიდან +42.4% წ/წ), ხოლო ელექტროენერჯის იმპორტი წლიურად 48.5%-ით შემცირდა და მთლიანი მიწოდების რეკორდულად დაბალი 5.2% შეადგინა.

გადასვლა ელექტროენერჯის იმპორტიდან თბოგენერაციაზე (რომელიც მუშაობს იმპორტირებულ ბუნებრივ აირზე) ძირითადად ფასთაშორის არსებული სხვაობით აიხსნება. ელექტროენერჯის კომერციული იმპორტის საშუალო ფასი კვტ.სთ-ზე 7.0-7.5 აშშ ცენტის ფარგლებში იყო, ხოლო თბოგენერაციის ფასი მერყეობდა კვტ.სთ-ზე 3.4-5.4 აშშ ცენტს შორის. საქართველომ მოახერხა თბოგენერაციაზე დაბალი ფასის შენარჩუნება ე.წ. „სოციალური გაზის“ მეშვეობით. „სოციალურ გაზს“ საქართველო იღებს ბუნებრივი აირის სამხრეთ კავკასიის გაზსადენის მეშვეობით აზერბაიჯანიდან თურქეთში გატარების საფასურად. თბოსადგურების გაზრდილმა მოცულობამ შესაძლებელი გახადა ელექტროენერჯის ექსპორტის აპრილიდან დაწყება და სექტემბრამდე გაგრძელება, რამაც გაზარდა ჯამური ექსპორტის მოცულობა

გრაფიკი 5: ელექტროენერჯის გენერაცია და იმპორტი, ტვტ.სთ



წყარო: სემეკი, გალტ & თავარტი

ცხრილი 5: მიწოდება, 2023


მიწოდება	წლიური ზრდა, %	წილი მიწოდებაში
ჯამური მიწოდება	-3.8%	100.0%
იმპორტი	-48.5%	5.2%
ადგილობრივი გენერაცია	+1.1%	94.8%
თბოსადგურები	+1.7%	22.7%
ქარის სადგურები	-1.6%	0.6%
ჰესები	+0.9%	71.5%
ენგური- ვარდნილი	-6.1%	27.9%
სხვა რეგ. ჰესები	+6.5%	19.6%
დერეგულირებული ჰესები	+5.4%	24.1%




საგარეო ვაჭრობა - ექსპორტი და ტრანზიტი

ელექტროენერჯის ფასი თურქულ ბაზარზე 2023 წელს შემცირდა, თუმცა კვლავ მნიშვნელოვნად აღემატებოდა პანდემიამდელ მაჩვენებელს. 2023 წლის ექსპორტის სეზონზე, აპრილ-ივნისში, საშუალო ფასი კვტ.სთ-ზე 8.8 აშშ ცენტი იყო, ხოლო 2022 წლის საექსპორტო სეზონზე (აპრილ-სექტემბერი) ფასი კვტ.სთ-ზე საშუალოდ 15.1 აშშ ცენტი შეადგინა. თურქეთის ბაზარზე ელექტროენერჯის ფასის ზრდის მიზეზი იყო ენერჯეტიკული კრიზისის გამო გლობალურად გაზრდილი ბუნებრივი აირის ფასები და თურქული ბაზრის დამოკიდებულება გაზზე მომუშავე თბოელექტროსადგურებზე.

გრაფიკი 6: თურქეთის ბაზარზე საშუალო წლიური ფასი, აშშ ცენტი კვტ.სთ-ზე



გრაფიკი 7: თურქეთის ბაზარზე საშუალო თვიური ფასი, აშშ ცენტი კვტ.სთ-ზე




წყარო: EPIAS, EVDS, გალტ & თაგარტი

წყარო: EPIAS, EVDS, გალტ & თაგარტი

თურქეთის ბაზრის მაღალი ფასების გამო კვლავ გაზრდილია მოთხოვნა ელექტროენერჯის ექსპორტსა და ტრანზიტზე. 2023 წელს თურქეთმა საქართველოს საზღვრიდან მიიღო 4.9 ტვტ.სთ ელექტროენერჯია, საიდანაც 1.5ტვტ.სთ იყო ელექტროენერჯის ექსპორტი ქართული გენერაციის ობიექტებიდან (+51.2% წ/წ), ხოლო 3.4 ტვტ.სთ (+9.0% წ/წ) იყო მეზობელი ქვეყნებიდან ტრანზიტი. ტრანზიტი ძირითადად ხორციელდება აზერბაიჯანიდან (მთლიანის 90.2%), რუსეთიდან (5.6%) და სომხეთიდან (4.2%).

გრაფიკი 8: თურქეთში ელექტროენერჯის ტრანზიტი, ტვტ.სთ




წყარო: სემეკი, გალტ & თაგარტი



ელექტროენერჯის ექსპორტი მნიშვნელოვნად გაიზარდა როგორც მოცულობით, ასევე ღირებულებით. 2023 წელს საქართველოდან ელექტროენერჯის ექსპორტი წლიურად 51.2%-ით გაიზარდა და 1.5 ტვტ.სთ შეადგინა. და 103.3 მლნ აშშ დოლარი (+22.5% წ/წ). ექსპორტი აპრილში დაიწყო და სექტემბრამდე გაგრძელდა. საექსპორტო სეზონის გახანგრძლივებას ხელი შეუწყო ელექტროენერჯის ადგილობრივი მოხმარების შემცირებამ და თბოგენერაციის ზრდამ. საქართველოდან ელექტროენერჯის საშუალო საექსპორტო ფასი წლიურად 19.0%-ით, კვტ.სთ-ზე 7.0 აშშ ცენტამდე შემცირდა. ფასების შემცირების მიუხედავად, მოცულობის ზრდამ გამოიწვია ექსპორტიდან შემოსავლის 22.5%-ით გაზრდა 103.3 მლნ აშშ დოლარამდე.


ტოპ-3 ექსპორტიორი თურქეთში იყვნენ ბუქაფ სოლუმენზ, ლუქს ენერჯი ტრეიდინგი და თბილისის საინვესტიციო ჯგუფი.

გრაფიკი 9: ელექტროენერჯის ექსპორტი, ტვტ.სთ



წყარო: სემეკი, გალტ & თაგარტი

გრაფიკი 10: ექსპორტის ღირებულება და საშუალო ფასი




წყარო: სემეკი, საქსტატი, EPIAS, გალტ & თაგარტი

ელექტროენერჯის იმპორტი

ელექტროენერჯის იმპორტი მხოლოდ რუსეთიდან განხორციელდა, რომლის ერთადერთი მომხმარებელი 2023 წელს აფხაზეთის რეგიონი იყო. საქართველოში ელექტროენერჯის იმპორტმა 0.8 ტვტ.სთ შეადგინა (ჭამური მოთხოვნის 5.2%). აფხაზეთის რეგიონი ელექტროენერჯიას რუსეთიდან სპეციალურ ფასად იღებს, ამიტომ იმპორტის საშუალო ფასმა კვტ.სთ-ზე 0.1 აშშ ცენტი შეადგინა 2023 წელს. აღსანიშნავია, რომ აფხაზეთისთვის იმპორტირებული ელექტროენერჯის 98% პირდაპირი ხელშეკრულებით გაიყიდა და არ შედიოდა ესკოს საბალანსო ელექტროენერჯის მოცულობაში. საქართველოს დანარჩენ რეგიონებში ელექტროენერჯის კომერციული იმპორტი არ ყოფილა.




გრაფიკი 11: ელექტროენერჯის იმპორტი, ტვტ.სთ და საშუალო ფასი



წყარო: სემევი, საქსტატი, გალტ & თაგარტი

გრაფიკი 12: ელექტროენერჯის იმპორტი ქვეყნების მიხედვით, ტვტ.სთ




წყარო: სემევი, საქსტატი, გალტ & თაგარტი

სავაჭრო ბალანსი


ელექტროენერჯის დადებითმა სავაჭრო ბალანსმა რეკორდულად მაღალი 102.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა 2023 წელს. ექსპორტის მოცულობისა და შემოსავლების ზრდამ, ისევე როგორც ელექტროენერჯის იმპორტის უპრეცედენტო დაბალმა ფასმა, განაპირობა ის, რომ საქართველო 2016 წლის შემდეგ პირველად გახდა ელექტროენერჯის წმინდა ექსპორტიორი რაოდენობრივად 0.7ტვტ.სთ წმინდა ექსპორტით. სავაჭრო ბალანსიც უპრეცედენტოდ მაღალ ნიშნულს, 102.3 მლნ აშშ დოლარს (+136.8% წ/წ) გაუტოლდა.

გრაფიკი 13: ელექტროენერჯის იმპორტი და ექსპორტი, ტვტ.სთ



წყარო: სემევი, გალტ & თაგარტი

გრაფიკი 14: სავაჭრო ბალანსი, მლნ აშშ დოლარი



წყარო: სემევი, საქსტატი, გალტ & თაგარტი




ელექტროენერჯის ფასები საქართველოში

საბალანსო ელექტროენერჯის მოცულობამ 2.5 ტვტ.სთ შეადგინა (-22.1% წ/წ), რაც ჯამური მიწოდების 16.4%-ია. ელექტროენერჯის დანარჩენი მოცულობის ვაჭრობა ორმხრივი კონტრაქტებით განხორციელდა. საბალანსო ელექტროენერჯის მოცულობა ძირითადად შემცირდა იმპორტის ფაქტიურად განულებით. იმპორტის მოცულობა ისედაც შემცირებული იყო 2023 წელს და რაც განხორციელდა იმის 98%-იც პირდაპირი კონტრაქტით გაიყიდა და არ შევიდა საბალანსო ელექტროენერჯის გასაყიდი ფასის კალკულაციაში.


საბალანსო ელექტროენერჯის საშუალო გასაყიდი ფასი წლიურად 4.5%-ით შემცირდა და კვტ.სთ-ზე 5.3 აშშ ცენტი შეადგინა. შემცირების მთავარი მიზეზი ზემოხსენებული იმპორტის მოცულობის ვარდნა იყო. თვიურ წრილში საბალანსო ელექტროენერჯის ფასი მერყეობდა კვტ.სთ-ზე 3.4-5.6 აშშ ცენტის ფარგლებში. საბალანსო ელექტროენერჯის უმეტესობა (94.8%) იყო ესკოს მიერ გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებით (PPA) შესყიდული ენერჯია, საიდანაც 58.9 პროცენტული პუნქტი ჰიდროელექტროსადგურები, 32.4 პროცენტული პუნქტი იყო გარდაბნის N2 თბოსადგური, ხოლო დანარჩენი 3.5 კპ ქარის ელექტროსადგური. იმპორტი საბალანსო ელექტროენერჯის მხოლოდ 0.5% იყო, რაც წინა წლებისგან განსხვავებით ძალიან დაბალი მაჩვენებელია. ესკოს მიერ ელექტროენერჯის საბალანსო ფასებში შექნილი ელექტროენერჯის წილი მთლიან საბალანსო ენერჯის 4.7%-ს შეადგენდა.

გრაფიკი 15: საბალანსო ელექტროენერჯის მოცულობა და გასაყიდი ფასები



წყარო: სემევი, საქსტატი, სები, გალტ & თავართი

გრაფიკი 16: საბალანსო ელექტროენერჯის მდგენელები



წყარო: სემევი, საქსტატი, სები, გალტ & თავართი



ცხრილი 6: ელექტროენერჯის ბალანსი, გვტ.სთ

	2022	იან-23	თებ-23	მარ-23	აპრ-23	მაი-23	ივნ-23	ივლ-23	აგვ-23	სექ-23	ოქტ-23	ნოვ-23	დეკ-23	2023
სულ შიდა მოხმარება	14,165	1,282	1,127	1,115	1,036	1,029	980	1,100	1,211	937	987	1,032	1,218	13,053
%-ლი ცვლილება, ნ/წ	+3.2%	-7%	-6%	-17%	-10%	-11%	-9%	-3.9%	+0.5%	-10.6%	-8.3%	-8.2%	-3.3%	-7.9%
მათ შორის:														
- ავზაზეთის რეგიონი	3,029	321	255	252	244	215	163	178	199	167	199	222	288	2,703
%-ლი ცვლილება, ნ/წ	+2.5%	-11%	-15%	-23%	-8%	-15%	-11%	-10%	-3.2%	-8.5%	-7.2%	-8.7%	-2.9%	-10.8%
- პირდაპირი მომხმარებლები	3,726	264	222	240	234	248	238	260	257	182	204	202	229	2,779
%-ლი ცვლილება, ნ/წ	+4.8%	-20%	-27%	-31%	-32%	-29%	-27%	-17%	-13.3%	-36.3%	-30%	-26.6%	-11.2%	-25.4%
- საცალო მოხმარება*	7,411	697	651	623	558	566	579	662	755	588	584	608	701	7,571
%-ლი ცვლილება, ნ/წ	+2.7%	+2%	+10%	-7%	+2%	+3%	+1%	+4%	+7.4%	+1.3%	+2.4%	+0.4%	-0.6%	+2.2%
მათ შორის:														
- ენერგო-პრო ჯორჯია და ეპ ჯორჯია მინოდება*	4,413	430	369	365	331	335	337	392	453	356	349	357	402	4,477
%-ლი ცვლილება, ნ/წ	+0.3%	+8%	+7%	-6%	+1%	+1%	+0%	+4%	+4.7%	+1.5%	+1.6%	+0.7%	-5.3%	+1.4%
- თელასი და თელმიკო*	2,998	267	281	258	227	230	242	270	301	232	235	251	299	3,094
%-ლი ცვლილება, ნ/წ	+6.3%	-6%	+14%	-8%	+5%	+6%	+3%	+4%	+11.8%	+1.0%	+3.7%	-0.0%	+6.4%	+3.2%
სულ გენერაცია	14,244	1,111	987	1,019	1,249	1,325	1,369	1,541	1,463	1,118	1,043	1,003	1,166	14,396
%-ლი ცვლილება, ნ/წ	+12.6%	+8%	+11%	-5%	+11%	-9%	-8%	+18%	+4%	-6%	+1%	-11%	+5%	+1.1%
მათ შორის:														
თბოსადგურები	3,388	728	643	208	98	1	2	132	162	302	429	364	378	3,446
%-ლი ცვლილება, ნ/წ	+42.4%	+43%	+45%	-58%	+181%	N/A	-46%	+4516%	-32%	-5%	+179%	-27%	-45%	+1.7%
ქარის სადგურები	87	8	6	7	9	8	5	9	7	8	7	6	6	86
%-ლი ცვლილება, ნ/წ	+5.0%	+22%	+7%	-2%	+38%	-6%	-9%	+8%	-29%	+10%	-11%	-13%	-16%	-1.6%
ჰიდროსადგურები	10,769	374	339	804	1,142	1,317	1,361	1,401	1,294	808	608	633	782	10,863
%-ლი ცვლილება, ნ/წ	+5.8%	-27%	-23%	41%	5%	-9%	-8%	8%	12%	-7%	-30.3%	1.1%	88%	+0.9%
იმპორტი	1,533	247	207	146	-	-	-	1	-	-	-	81	108	790
%-ლი ცვლილება, ნ/წ	-23.6%	-39%	-42%	-56%	-100%	-100%	-97%	+352%	N/A	N/A	N/A	+46%	-50.3%	-48.5%
ექსპორტი	971	-	1	-	166	248	341	384	196	132	-	-	-	1,468
%-ლი ცვლილება, ნ/წ	+148.4%	N/A	N/A	N/A	N/A	-7.8%	-3.0%	+235%	+40%	+41%	N/A	N/A	N/A	+51.2%
სავაჭრო ბალანსი	(562)	(247)	(206)	(146)	166	248	341	384	196	132	(0)	(80)	(108)	679
ტრანზიტი	3,160	520	370	445	98	65	-	32	240	300	251	193	243	3,444
%-ლი ცვლილება, ნ/წ	+178.3%	+181%	+120%	+260%	-29%	N/A	N/A	-91%	-32%	-24%	-28%	-62%	-53%	+9.0%

წყარო: სემევი, გალტ & თაგარტი

* ეპ ჯორჯია და თელმიკო დაფუძნდნენ 2021 წლის ივნისში და ემსახურებიან შესაბამისად ენერგო-პრო ჯორჯიას და თელასის ყოფილ აბონენტებს. ცვლილება გამოწვეული იყო საკანონმდებლო მოთხოვნებით. საცალო მოხმარებაში შედის როგორც თელასის და ენერგო-პრო ჯორჯიას, ასევე თელმიკოს და ეპ ჯორჯია მინოდების ჯამური ელექტროენერჯის მოხმარება.



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებელია. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწვევისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბანკზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვათ ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველაფერს შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიზნებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიმართ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ დოკუმენტში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტში) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განხილული იქნას, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომელიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიზნებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმეწინააღმდეგარა დაკავშირებულია ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტი არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიზნებში არ არის ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიზნობა მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად არ ემყარება, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმეულს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტი და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევიტში. შედეგად, ინვესტირებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მდელით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელი
ევა ბოჭორიშვილი | evabochoishvili@gt.ge

ეკონომისტი
ლაშა ქავთარაძე | lashakavtaradze@gt.ge

ანალიტიკური განყოფილების უფროსი
გიორგი ირემაშვილი | giremashvili@gt.ge

სექტორული კვლევების განყოფილების უფროსი
კახაბერ სამყურაშვილი | ksamkura@gt.ge

სექტორის უფროსი
მარიამ ჩახვაშვილი | mchakhvashvili@gt.ge

სექტორის უფროსი
თათია მამრიკიშვილი | tmamrikishvili@gt.ge

უფროსი ანალიტიკოსი
გიორგი ცქიტიშვილი | g.tsikitishvili@gt.ge

უფროსი ანალიტიკოსი
ზურაბ თავკელიშვილი | ztavkeshvili@gt.ge

უფროსი ანალიტიკოსი
სერგი ყურაშვილი | s.kurashvili@gt.ge

ანალიტიკოსი
ოთარ ცუხიშვილი | otsukhishvili@gt.ge

ანალიტიკოსი
დარი მუჯირიშვილი | dmujirishvili@gt.ge

ანალიტიკოსი
მარიამ ოქროპირიძე | maokropiridze@gt.ge

გალტ ენდ თაგარტი

მისამართი: პუშკინის ქუჩა 3, თბილისი, 0105, საქართველო

ტელ: + (995) 32 2401 111

ელ. ფოსტა: research@gt.ge